

კონკურსი ახალგაზრდა ხელოვანთათვის BoCs Art რეზიდენციაში (ქ.კომენტა, იგალია) მონაწილეობისთვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“

ინფორმაცია კონკურსის შესახებ

კონკურსის ამოცანაა ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების დარგში მომუშავე ახალგაზრდა ქართველი ხელოვანების ხელშეწყობა იგალიის ქალაქ კომენტაში, BoCs Art რეზიდენციაში მონაწილეობისთვის.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ახალგაზრდა, თანამედროვე ხელოვანებს, რომლებიც შემდეგ დისციპლინაში მოღვაწეობენ: **ფერწერა, ქანდაკება, ფოტო, მულტიმედიაური ხელოვნება და პერფორმანსი.**

კონკურსის ფარგლებში შეირჩევა სულ 20-მდე ახალგაზრდა ხელოვანი. რეზიდენციის თარიღებია: **2019 წლის 16-30 აპრილი.** ხელოვანებს ექნებათ შესაძლებლობა იმუშაონ და იცხოვრონ ქ. კომენტაში და ადგილზე შექმნან ნამუშევრები.

ნამუშევრების მუნიციპალიტეტისთვის ჩუქების შემთხვევაში მოხდება მათი კატალოგად გამოცემა და BoCs Art Museum-ში გამოფენა (იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნამუშევარი სხვა მუზეუმში დროებით გამოფენაზე უნდა გამოიფინოს, გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად).

ხელოვანს შეუძლია არ გადასცეს ნამუშევარი რეზიდენციას. ასეთ შემთხვევაში, ის თავად უზრუნველყოფს შექმნილი ნამუშევრების გრანსპორტირებასა და შენახვას.

რეზიდენცია (იგალიური მხარე) უზრუნველყოფს:

- სახელოსნოს და საცხოვრებელს რეზიდენციაში ყოფნის დროს;
- სამჯერად კვებას;
- ბონუსი 500 ევრომდე, რომლის ანაზღაურებაც მოხდება ჩუქების წარდგენის საფუძველზე რეზიდენციის დასრულებიდან ორი თვის ვადაში. ანაზღაურების მისაღებად თითოეულმა ხელოვანმა უნდა შეავსოს სპეციალური ფორმა, რომელიც დაურიგდებათ რეზიდენციაში და სადაც შეძლებენ შეიგანონ თავიანთი საბანკო რეკვიზიტები;
- დასუფთავების სერვისს რეზიდენციის პერიოდის დაწყების და დამთავრების წინ;
- რეცხვის სერვისს თითოეული ხელოვანისთვის;

რეზიდენცია არ უზრუნველყოფს:

- ხელოვანების ფრენის ხარჯებს;
- აეროპორტიდან კომენტამდე მგზავრობის ხარჯებს;
- ხელოვანების ჰონორარს;

- ხელოვანების სამოგზაურო დაზღვევას;
- ქალაქში გადაადგილების ხარჯებს.

გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია თავად დაფაროს ჯანმრთელობის სამოგზაურო დაზღვევის ხარჯები.

კონკურსში მონაწილეობით ხელოვანი გამოთქვამს მზადყოფნას, საკუთარი ან ღონისძიების სახსრებით ანაზღაუროს ის ხარჯები, რომელსაც არ უმზუნველყოფს რემიდენცია.

სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ პასუხისმგებელია მხოლოდ ხელოვანების შერჩევამდე. სხვა ყველა საკითხთან დაკავშირებით გთხოვთ, მიმართოთ BOCs Art-ს.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება:

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე, თანამედროვე ხელოვნების სექტორში მოღვაწე ხელოვანებს: ფიზიკურ პირებს, რომლებიც განაცხადის გაკეთების დროს არიან 18-დან 35 წლამდე;

აუცილებელი პირობაა მონაწილე კარგად ფლობდეს ინგლისურ ენას და იყოს მზად თანამშრომლობისათვის და კომუნიკაციისათვის.

როგორ გავაკეთოთ განაცხადი:

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა **2019 წლის 12 მარტი**, თბილისის დროით **18:00** საათი.

რემიდენციაში გასამგზავრებლად შერჩეული ხელოვანები გამოვლინდებიან **25 მარტამდე**, მოწვეული საკონკურსო კომისიის მიერ.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ელ-ფოსტაზე dato@creativegeorgia.ge უნდა გამოგზავნოთ:

- პროფესიული რეზიუმე ან CV ინგლისურ ენაზე;
- პორტფოლიო PDF ფორმატში (ფაილის ზომა არა უმეტეს 10მბ)
- სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე (არა უმეტეს 500 სიტყვისა);
- სასურველია სარეკომენდაციო წერილის წარმოდგენა (წერილი დაწერილი უნდა იყოს სპეციალურად აღნიშნული კონკურსისთვის. ასევე, ხელმოწერილი)

განაცხადის გამოგზავნისას სათაურის ველში გთხოვთ, მიუთითოთ: **COS2019 სახელი, გვარი.**

მიღებულ განაცხადთან დაკავშირებით ელ-ფოსტაზე წერილობით მიიღებთ დასკვნას.

საკონკურსო პირობები და შერჩევის წესი

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი: განაცხადის გექნიკური მხარის განხილვისას ყურადღება მიექცევა მოთხოვნილი დოკუმენტებისა და აპლიკაციის სრულად წარმოდგენას, რომლის გადალახვის შემთხვევაში, მონაწილე კონკურსს განაგრძობს მეორე ეტაპზე.

მეორე ეტაპი: სპეციალურად მოწვეული ხუთკაციანი საკონკურსო კომისია კონკურსანტებს შეაფასებს ათქულიანი სისტემით. კონკურსანტების საბოლოო შეფასება მოხდება მიღებული ქულების დაჯამებით.

შესარჩევი კომისია :

შედგება მოწვეული ექსპერტების, კურატორების, ხელოვნებთმცოდნეების, გალერისტების და სხვა სექტორის წარმომადგენლებისაგან.

შესარჩევი კომისია კომისიის სხდომაზე არჩევს საუკეთესო ოც კონკურსანტს შემდეგი კრიტერიუმებით:

1. *ხელოვნის გამოცდილება;*
2. *გასაგებად დასაბუთებული მოტივაცია;*
3. *პორტფოლიო;*

სსიპ „შემოქმედებით საქართველო“ უფლებამოსილი და ვალდებულია:

- მოითხოვოს წარდგენილი განაცხადის გექნიკური ან/და შინაარსობლივი კორექტირება;
- შეზღუდვის გარეშე გამოიყენოს პროექტის ფარგლებში კონკურსანტების მიერ შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან/და ნაბეჭდი ასლი ნებისმიერი სახის აქტივობასა და სივრცეში;
- არ წარუდგინოს ეიურის წევრებს საპროექტო განაცხადი რომელიც სრულად არ იცავს კონკურსის წესის პირობებს;

კონკურსთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, მოგვწეროთ ელ-ფოსტაზე dato@creativegeorgia.ge